საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო
MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 4 16 00078115

13/01/2016

საქართველოს ვიზის გაცემაზე ან საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის შესახებ

სტუდია მონიტორის ჟურნალისტს
ქალბატონ სალომე ცეცხლაძეს
ელ-ფოსტა : s.tsetskhladze@gmail.com

ქალბატონო სალომე,

თქვენი N2078 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ საქართველოს ვიზის გაცემაზე ან საქართველოში შემოსვლაზე უარის თქმის საფუძვლები გათვალისწინებულია „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლით.

ამასთან გაცნობებთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო მოკლებულია შესაძლებლობას მოგაწოდოთ სომხეთის რესპუბლიკის მოქალაქეების, შირაკ ტოროსიანის, სამველ კარაპეტიანისა და ვაჰე სარგისიანის შესახებ თქვენ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, ვინაიდან აღნიშნული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად განეკუთვნება პერსონალურ მონაცემს. ამავე კანონის მე–18 მუხლით განსაზღვრული ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად შსს, როგორც მონაცემთა დამმუშავებელი, აღრიცხავს მონაცემთა დამუშავების/გაცემის სამართლებრივ საფუძვლებს. მონაცემთა დამუშავება/გაცემის საფუძვლები განსაზღვრულია ამავე კანონის მე–5 მუხლით.

პატივისცემით,

შსს ადმინისტრაციის
საჯარო ინფორმაციის
სამმართველოს უფროსი — გიორგი სახოკია

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia, Tel.: (+995 32) 2411008 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

ადმინისტრაცია (დეპარტამენტი) / საჯარო
ინფორმაციის სამმართველო
სამმართველოს უფროსი
გიორგი სახოკია